





თამარ ბართანია  
ფერფლი

თამარ ბართაია  
ფერფლი

გარეკანზე: დავით ჩიხლაძის ფოტო



**მწერალთა  
სახლი**

ნიგნი გამოიცა მწერალთა სახლისა და საქართველოს განათლების,  
მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით.

© გამომცემლობა „დიოგენე“, 2020  
ყველა უფლება დაცულია

ISBN 978-9941-11-667-4

[www.diogene.ge](http://www.diogene.ge)

ფერფლი



## თავი პირველი

ორმოც წლამდე, შავკანიანი, დაკუნთული მამაკაცი. შუშის კაბინაში ძლივს ეტევა. ჩემს პასპორტს ფურცლავს, ჯერ ფოტოს აკვირდება, შემდეგ კი მე, გამჭოლი მზერით.

– თუ შეიძლება, პირბადე ჩამოიწიეთ.

პირბადეს ქვემოთ ვქაჩავ და მთელ სახეს ვაჩენ.

– მადლობა, – მიუბნება და ფურცვლას აგრძელებს, – ალბათ, იცით, რომ ასაკის გამო რისკჯგუფს მიეკუთვნებით? – ისევ თვალებში მიყურებს.

– დიახ, რა თქმა უნდა, – მშვიდად ვპასუხობ.

– როგორც საფრანგეთის მოქალაქეს, ვალდებული ვარ, შეგახსენოთ, რომ ეს ბოლო რეისია და, შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, შესაძლოა, უკან ველარ დაბრუნდეთ.

– ვიცი. ინფორმირებული ვარ.

– რა მისიით მიემგზავრებით?

– აი, აქ წერია ყველაფერი.

ვანვდი წინასწარ გამზადებულ ფურცელს. კითხულობს და პასპორტთან ერთად მიბრუნებს.

– კეთილი მგზავრობა!

– დიდი მადლობა, – ვპასუხობ, პასპორტს, საბუთებთან ერთად, მხარზე გადაკიდებულ ჩანთაში ვინახავ და გასასვლელისკენ მივდივარ.

აქაურობა თითქმის ცარიელია. მიუხედავად იმისა, რომ წელიწადში ხუთ-ექვსჯერ მაინც მიწვევს აქ მოსვლა, „შარლ დე გოლის“ აეროპორტის მთელ სივრცეს პირველად ვხედავ. უცნაურ სიჩუმეს ახალგაზრდა ქალის ისტერიკული ყვირილისა და ჩხუბის ხმა არღვევს. პოლიციელები მის გაყვანას ცდილობენ, ქალი უძალიანდება, მარმარილოს იატაკზე ფეხებს მიასრიალებს და ფრანგული ჩხუბიდან სერბულ ტირილზე გადადის. მისი ხმა მთელ აეროპორტში ექოსავით ისმის. ეს ენა არც ერთში არ ამერევა – ხუთი წლის წინ იქ თითქმის ნახევარი წელი დაყვავი და ახლა უკვე სიტყვებსაც ვარჩევ: „გამიშვით! დამაბრუნეთ! დამაბრუნეთ ჩემს სახლში! ვინ მოგცათ ამის უფლება!!!“ – იმუქრება, რომ ამას არ შეარჩენს, უჩივლებს და ყველას ციხეში ჩაყრის. გარშემო არავის რეაქცია არა აქვს, მათ შორის – არც მე. ქალის ხმა სულ უფრო შორიდან ისმის და თანდათან სიჩუმეში იკარგება.

გაფრენამდე ერთი საათი რჩება.

აეროპორტის ყველა მარკეტი და კაფე დაკეტილია.

მოსაცდელ დარბაზში შევდივარ და გრძელ სკამზე ვჯდები.

ეს დრო არ მანუხებს, მთავარია, რეისი არ მოხსნან.

პარიზში ჩემი პირველი ჩამოსვლა მახსენდება...

\*\*\*

რატომღაც სულ ასე ხდებოდა – უცხო ქვეყანაში გვერდით რაც არ უნდა საიმედო ადამიანი მყოლოდა, მაინც „ვახერხებდი“ უცნაურ სიტუაციებში მოხვედრას. მაშინაც ასე იყო. მე და ჩემი მეგობარი მამაკაცი ლონდონიდან პარიზში გამთენიისას ჩამოვფრინდით. სასტუმროს ნომრის დაკავება 12 საათიდან შეგვეძლო, მას კი ცხრაზე მნიშვნელოვანი შეხვედრა ჰქონდა, რაც პარიზში ჩვენი ვიზიტის მთავარი მიზეზი იყო. მანამდეც არაერთხელ შემოუთავაზებია ჩემთვის რამდენიმე დღით სხვადასხვა ადგილას გამგზავრება, მაგრამ ყოველთვის უარს ვუუბნებოდი. ამ ვიზიტების შესახებ თვითონ არაფერს



მიყვებოდა და მეც არასდროს დავინტერესებულვარ. ბოლოს დანიაში ერთკვირიანი მოგზაურობა შემომთავაზა და როცა კვლავ უარი მიიღო, ღიმილით ჩაილაპარაკა, უცნაურია, მიკვირს, რომ ასეთ შესაძლებლობებს უშვებ ხელიდან, მე ხომ ამის სანაცვლოდ არაფერს ვითხოვო. აი, მაშინ კი ვუთხარი, თუ როდესმე პარიზში მოგიწევს გამგზავრება, იქ შექველად გამოგყვები-მეთქი, და ასეც მოხდა.

– სასტუმროში დამელოდები თუ სადმე დაგტოვო? – მკითხა, როგორც კი აეროპორტის შენობიდან გამოვედით და ტაქსის გაჩერებისკენ გავემართეთ.

– არა, რა მინდა სასტუმროში? – ვუპასუხე.

– კარგი, მაშინ ჯერ მე მივალ, მაინც ამ გზაზეა, და მერე თვითონ გადაწყვიტე.

ჩემი ოცნების ქალაქში პირველად ვიყავი და ამ ძვირფას დროს სასტუმროს მოსაცდელში მის ლოდინში როგორ დავკარგავდი?!

ტაქსი ჯერ ისევ აეროპორტის გზაზე მიდიოდა, ფანჯარას ვიყავი აკრული და პირველივე ნაცნობი შენობის გამოჩენას გულის ფანცქალით ველოდი. ფრანგული ჩემს მეგობარზე ბევრად უკეთ ვიცოდი და მანქანიდან გადავიდა თუ არა, მძღოლს გამართული ფრანგულით ვუთხარი, ლუვრთან ახლოს მიმიყვანეთ-მეთქი. უკვე პარიზის ცენტრალურ ქუჩებში მივდიოდით. აქ ყველაფერი ისეთი ნაცნობი და ახლობელი იყო ჩემთვის, თითქოს დიდი ხნის განშორების შემდეგ დავბრუნდი. ლუვრს შორიდანვე მოვკარი თვალი, მძღოლს მანქანა გავაჩერებინე და გზას ფეხით გავეუყევი. ერთი პატარა ზურგჩანთით ვიყავი და ეს არანაირ დისკომფორტს არ მიქმნიდა – ახალგაზრდობიდან მიზიდავდა მთებში ხეტიალი და სიმძიმეების თრევა სულაც არ მიჭირდა. ჯერ მაინც ადრე იყო და ჩავთვალე, რომ მუზეუმი დაკეტილი იქნებოდა, ამიტომ იქვე ახლოს ქუჩებში დავიწყე ბოდიალი. ამასობაში ერთ ღია კაფეს მივადექი და გადავწყვიტე, ცოტა ხნით იქ ჩამოვმჯდარიყავი. ყავა და კრუასანი შევუკვეთე და სიგარეტიც გავაბოლე.

ჯერ ისევ სკოლაში ვსწავლობდით მე და ჩემი და, როცა რუკაზე მოვნიშნეთ ადგილები, საიდანაც უნდა დაგვეწყო პარიზის დათ-

ვალეირება, თუკი ოდესმე იქ მოვხვდებოდით. ლუვრი იმ ჩამონათ-  
ვალშიც ერთ-ერთი პირველი გახლდათ. მამაჩვენი მხატვარი იყო  
და სახლში უამრავი ალბომი გვექონდა ცნობილი მხატვრების რეპ-  
როდუქციებით. ამ ნახატების თვალეირებას არაფერი გვერჩვენა  
და თითქმის ყველას ვცნობდით. მამას შორეულ ოცნებებშიც ვერ  
წარმოედგინა, რომ მათ ორიგინალებს ოდესმე ნახავდა, ამიტომ  
ამ ალბომებს ძალიან უფროთხილდებოდა. ჩვენც პატარაობიდანვე  
გვასწავლა, როგორ სათუთად უნდა გადაგვეფურცლა თითოეული  
გვერდი ისე, რომ არ დაზიანებულიყო, ან არ გახეულიყო. ეს ჩვევა  
მერე მთელი ცხოვრება გამყვა.

როცა წამოვიზარდეთ, მხატვრებს დედაჩემის შერჩეული მწერ-  
ლებიც დაემატნენ და ახლა, როცა პარიზის ერთ ჩვეულებრივ,  
პატარა კაფეში ვიჯექი და ნამდვილ ფრანგულ კრუასანს მივირ-  
თმევდი, თავს ამ ქალაქის ისეთივე ორგანულ ნაწილად ვგრძნობ-  
დი, როგორც ის ქალები, ახლა ჩემ წინ რომ მიდი-მოდიოდნენ და  
თავ-თავიანთ საქმეებზე მიიჩქაროდნენ.

არც ინგლისზე მქონდა ნაკლები ინფორმაცია, და შეიძლება  
მეტიც კი. ჩემი პირველი პროფესიიდან გამომდინარე, ორიგინალ-  
შიც უფრო მეტი ინგლისური ლიტერატურა მქონდა წაკითხული, ვი-  
დრე ფრანგული. მაგრამ ლონდონში ჩასვლის პირველსავე დღეს ისე  
დავმძიმდი, ისე დავმძიმდი, რომ სუნთქვაც კი მიჭირდა, ჰაერი არ  
მყოფნიდა. რომ შემძლებოდა, უმალ დავტოვებდი იქაურობას, მიუ-  
ხედავად იმისა, რომ არც წვიმიანი ამინდი დამხვდა, არც ნისლი და  
ღრუბლები, როგორც ჩვეულებრივ წარმოემდგინა. პირიქით, ძალიან  
ცხელოდა, მე კი ზაფხული აღარ მიყვარდა. ალბათ, ესეც იყო ერთ-  
ერთი მიზეზი, სიტყვ იმ საშინელი ზაფხულის დღეებს მახსენებდა...

პარიზი კი ნამდვილად ჩემი ქალაქი იყო, ეს მანამდეც ვიცოდი,  
სანამ აქ მოვხვდებოდი, და ახლა საბოლოოდ დავრწმუნდი.

კარგა ხანს დაყვავი კაფეში, მერე კი ისევ ლუვრისკენ გავე-  
მართე – ნესით, მუზეუმი უკვე ღია უნდა ყოფილიყო. შუშის პი-  
რამიდის გარშემო მოფუსფუსე ხალხიც სულ უფრო და უფრო მა-  
ტულობდა. შესასვლელს ვეძებდი, წარწერა ვერსად დავინახე და

გადავწყვიტე, თავად მიმეგნო. შენობას ბევრი კარი ჰქონდა და რომელიღაც ხომ აუცილებლად იქნებოდა მუზეუმში შესასვლელი?! სათითაოდ ყველა კართან მივდიოდი, მთელი ძალით ვანვებოდი და სახელურებს ვეჯავჯავებოდი. რატომღაც არ მომინდა, ვინმესთვის რამე მეკითხა, მე ხომ ლამის ზეპირად ვიცოდი, რომელ დარბაზში რა უნდა მენახა. ასე შემოვიარე ლუვრის მთელი შენობა და არც ერთი კარი არ დამიტოვებია, გალება რომ არ მეცადა. როცა ისევ პირველთან დავბრუნდი, მხოლოდ მაშინ დაეხედე საათს და მივხვდი, რომ აქ მეტ ხანს ველარ დავრჩებოდი – ჩემი მეგობარი, წესით, უკვე სასტუმროში მელოდებოდა, რომ ერთად გვესადილა. ისევ ტაქსი გავაჩერე. სასტუმრო, საბედნიეროდ, ძალიან ახლოს აღმოჩნდა და დავგვიანებისთვის თავის მართლება აღარ დამჭირვებია. არც ის მითქვამს, როგორ ვეჯავჯავებოდი რამდენიმე საათი ლუვრის ყველა კარს. მხოლოდ, როცა მკითხა, მუზეუმში წასვლას როდის აპირებო, ვუთხარი, შენთან ერთად მირჩევნია-მეთქი და ისიც გახარებული დამთანხმდა, თან დაამატა, ახალი შესასვლელი ჯერ არ მინახავს და ძალიან მაინტერესებსო. აბა რას წარმოვიდგენდი მაშინ, რომ სწორედ ის შუშის პირამიდა ყოფილა ლუვრში შესასვლელი და ცოტა ხნით ადრე გაეხსნათ საფრანგეთის რევოლუციის 200 წლისთავის აღსანიშნავად. შარშან კი ამ პირამიდის 30 წლის იუბილეზეც გახლდით მინვეული.

ჯერ ისევ აეროპორტის მოსაცდელში ვიჯექი. ბილეთზე მითითებული დროის მიხედვით, გაფრენამდე ათი წუთი რჩებოდა, ჩვენ კი თვითმფრინავშიც არ ვისხედით. ისევ რაღაც ჩორჩოლი ატყდა და ცოტა დავიძაბე: „ვაითუ ფრენა გადაიდოს?!.. მაგას კიდევ არა უშავს, მთავარია, რეისი არ გააუქმონ...“ ახლა ამის უფრო მეშინოდა, ვიდრე იმის, რომ შეიძლება პარიზში ველარასდროს დავბრუნებულიყავი. ის ათი წუთი საუკუნედ მომჩვენდა.

შავებში ჩაცმული ორი ქალი პოლიციელმა ჩვენამდე მოაცილა. ერთი ახალგაზრდა იყო, ასე 24-25 წლის, მეორე კი 40 წლამდე იქნებოდა. ჩემთან ახლოს დასხდნენ. მათი საუბრიდან მივხვდი, რომ ჩვენი თვითმფრინავით მიცვალებულს მიასვენებდნენ და გაფრენაც

ამიტომ ჭიანურდებოდა. ესენი კი ჭირისუფლები იყვნენ, უეჭველი კავკასიელები, მაგრამ, როგორც ჩანს, დიდი ხნის ემიგრირებულები, რადგან ერთმანეთშიც ფრანგულად საუბრობდნენ.

როგორც იქნა, ჩასხდომაც გამოაცხადეს. სალონში შევედი და ბილეთს დავხედე, ჩემი ადგილი ფანჯარასთან იყო, ის შაოსანი ქალები კი უკვე ჩემს რიგში ისხდნენ. შედარებით უფროსი გარდაცვლილის და აღმოჩნდა, ახალგაზრდა კი ცოლი. ჩემით არ დაინტერესებულან, რადგან მათთვის ერთი რიგითი ფრანგი ქალი ვიყავი. ამათ კი არა, უკვე წლები იყო, თანამემამულეებსაც აღარ ეპარებოდათ ეჭვი ჩემს ფრანგულ ნარმომავლობაში.

თვითმფრინავი ასაფრენი ბილიკისკენ დაიძრა და აფრინდა თუ არა, ჩემ გვერდით მსხდომები უცებ მოეშვნენ. ორივე მომენტალურად გაითიშა.

მძინარეები უფრო თამამად შევათვალეირე. ხელებზე დავაცქერდი. ორივეს თხელი და ლამაზი თითები ჰქონდა.

\*\*\*

რატომღაც ის დღე გამახსენდა, დეიდაჩემთან ერთად ბაზრობაზე რომ დავდიოდი და შავ კაბას ვარჩევდი. მანამდე იმდენი რამ მოხდა და იმ ყველაფერმა ისე გამომშიგნა, არც ერთი წამით არ მიფიქრია იმაზე, რაზეც მერე არაერთხელ დავფიქრებულვარ – ხომ შეიძლებოდა, ვინმე ნაცნობი შეგვხვედროდა?! თურმე მაშინ მთელი ქალაქი ჩვენს ოჯახში მომხდარ ამბავზე ლაპარაკობდა... რა ვიცი, იქნებ კიდევ დამინახა ვინმემ და თვალი ამარიდა. დახლებთან ვჩერდებოდით, კაბებს დეიდაჩემი არჩევდა და უხმოდ მანვდიდა, მე კი უარის შესტით ვპასუხობდი. გაღიზიანებული გამყიდვლები სხვადროს, ალბათ, შემოგვიღრენდნენ კიდევც, მაგრამ ახლა აშკარად რიდას და მოწინებას იწვევდა დეიდაჩემის მონაზვნის სამოსელიც და გარეგნობაც – მაღალი, კაფანდარა, ცისფერთვალეა, ნაადრევად სახედანაოჭებული, თუმცა ძნელი ამოსაცნობი არ იყო, რომ ახალგაზრდობაში ლამაზი და თავმოძნონე გოგო იქნებოდა. მეც კი

მასსოვდა ბუნდოვნად, წითელ „ბაილონის“ კაბაში გამონყობილი, თეთრი „პერლამუტრის“ ცხვირნაჭრილი ფეხსაცმლით. კუბაზე იყო და იქიდან ჩამოვიდა ასე ჩაცმულ-დახურული. მე და ჩემს დასაც ჩამოგვიტანა ორი ერთნაირი, ოღონდ სხვადასხვა ფერის კაბა, მაგრამ მე მაინც იმ წითელმა კაბამ მომნუსხა, თვითონ რომ ეცვა, და როცა ოცნებებში ჩემს თავს გაზრდილს წარმოვიდგენდი, ის წითელი კაბა და ის თეთრი ფეხსაცმელი მეცვა.

– ამაში არ შეგცივდება? იქ ხო ცივა სალამოობით?! – მკითხა დეიდაჩემმა, როცა დაინახა, რომ დახლიდან უმკლავო კაბა ავიღე და ზემოთ ავწიე.

– ჟაკეტსაც ვიყიდი, – ვუპასუხე.

– კარგი.

ჟაკეტს პირველივე შემოთავაზებულს დავყაბულდი.

– ბარემ აქვე ჩაიცვი, იქ ხომ არ დაინცებ გამოცვლას?! – მითხრა.

გასახდელში შევედი, ჩავიცვი და ჟაკეტიც მოვიხურე. ტაქსი სადაც დავტოვეთ, იქვე გველოდებოდა. მძღოლის უხერხულობას მისი ზურგიდან ვგრძნობდი, მთელი გზა ხმა არ ამოუღია, ალბათ, დეიდაჩემისგან იცოდა ყველაფერი. სიგარეტი ამოვიღე და გავაბოლე.

– იქ ნუ მონევ, ხომ იცი, ისედაც... – გამაფრთხილა დეიდაჩემმა.

არაფერი ვუპასუხე, ფანჯარა ბოლომდე ჩამოვნიე და მოწვევა გავაგრძელე. მანქანა თითქმის ცარიელ ტრასაზე მიჰქროდა. თანდათან ვცნობდი იმ ადგილებს, სადაც ბავშვობა მექონდა გატარებული, მერე კი ზაფხულობით მიწევდა ჩასვლა. ახლაც ზაფხული იყო. ჩემი დის დაკრძალვაზე მივდიოდი. დღეს ასაფლავებდნენ. სამი დღის ძებნის შემდეგ, როგორც იქნა, მიპოვა დეიდაჩემმა და თან მივყავდი, რადგან მამაჩემმა ამის ნება დართო, დედაჩემის დიდი ხვეწნა-მუდარის შემდეგ.

ჩემმა დამ თავი ჩამოიხრჩო. ის ჩემზე ხუთი წლით უმცროსი იყო. ჯერ ისევ შუა ზაფხული იდგა, მაგრამ გვალვისგან ისე შეყვითლებოდათ ხეებს ფოთლები, როგორც შემოდგომის მიწურულს იცის. გზიდანვე გამოჩნდა ჩვენი ეზო. იქ თავმოყრილი ხალხი ნელა

და თავშეკავებულად გადაადგილდებოდა, ნელა და თავშეკავებულად, ნელა და თავშეკავებულად. „ლეგატო, ნონ-ლეგატო“, ჩამესმა ჩემი მუსიკის მასწავლებლისგან ბავშობაში ათასჯერ გაგონილი ფრაზა. ეს მუსიკალური ავადმყოფობაც ბავშვობიდან ავიკიდე – განუწყვეტლივ რალაც მელოდია ჩამესმოდა საიდანღაც, ხან კარგად ისმოდა, ხან – უფრო ჩუმად, მაგრამ რიტმს ყოველთვის ვგრძნობდი. ამიტომ ხან ხელის, ხან ფეხის თითებს, ხანაც ორივეს ერთად მუდმივად მუსიკის იმ რიტმს ვაყოლებდი, რომელიც იმ წუთში მესმოდა.

როგორც მივხვდი, დეიდაჩემს ფული წინასწარ გადაეხადა მძლოსთვის, რადგან, გაჩერდა თუ არა მანქანა, ეგრევე გაალო კარი, გადავიდა და სახლისკენ მიმავალ ბილიკს ჩქარი ნაბიჯით აუყვავა. მერე როცა ვიხსენებდი, რალაცნაირად გახარებული იყო, ალბათ, იმით, რომ დედაჩემის დავალება შეასრულა, მომძებნა და ჩამიყვანა. მეც გადავედი, მძლოლმა მომაძახა, ჟაკეტი გრჩებათო. სანამ ჟაკეტი ავიღე და მანქანის კარი მივხურე, დეიდაჩემი უკვე კარგა წინ წასულიყო. შორს, მაგრამ ამდენ ხალხში მაინც მოვკარი თვალი მამაჩემს. დავინახე, როგორ დაიძაბა, როცა დეიდაჩემი მარტო დაინახა და მერე ისიც დავინახე, დეიდაჩემმა რომ რალაც უთხრა და როგორ მოეშვა, გამოიხედა კიდევ. მელოდებოდა, მაინც მელოდებოდა! ახლა მთელი იქ მოფუსფუსე ხალხი ჩემკენ იყურებოდა. „სირცხვილის დერეფანი“ უნდა გამევლო, მაგრამ ეს არ მალეღებდა. ფეხები თითქოს თავისით მიდიოდნენ წინ, ინერციით. დეიდაჩემი კიბესთან გაჩერდა, რომ ერთად ავსულიყავით. სანამ კიბესთან მივიდოდი, ვილაცა მომიახლოვდა და ყურში სისინით ჩამჩურჩულა: „როგორ მეზიზღები!!!“. არ გამიხედავს მისკენ, მაგრამ ხმაზე ვიცანი, ჩემი მამიდაშვილი იყო, გვანცა. სხვას არავის არაფერი უთქვამს, მაგრამ კანით ვგრძნობდი, ბევრისგან მოდიოდა ეს ზიზღი, თუმცა ჩემი კანი ამასაც ისხლტდა და გულამდე ვერც ერთი აღწევდა. უცებ ყურში ჯერ საშინელი გუგუნი გავიგონე, მერე წუილი, მერე ყველაფერი სიგანეზე გაიბლანტა და ჩაბნელდა. როგორც ჩანს, ვილაცამ მოასწრო ხელის შეშველება, კიბეებს არ დავსკდომივარ.

როცა გონს მოვედი, იმ პატარა ოთახში ვინეყი, სადაც ბავშვობაში მე და ჩემს დას ჩახუტებულებს ბევრჯერ გვიძინებია. არც არაფერი მტკიოდა და არც არაფერი მანუხებდა. დიდი ოთახიდან დროდადრო დედაჩემის ღმუილი ისმოდა. ცნობიერება დამიბრუნდა თუ არა, ყველაფერი თავის ადგილას დალაგდა და ყველაფერი გამახსენდა. მაჯაზე დავიხედე, საათი აღარ მეკეთა. ეტყობა მომხსნეს, კაბის ღილებიც შეხსნილი მქონდა და კისერთან სველი ვიყავი, ალბათ სხვადასხვა მეთოდით ცდილობდნენ ჩემს გონზე მოყვანას. მთელ ოთახში ვალერიანის წვეთების სუნი იდგა. კარი გაიღო და მამაჩემმა შემოიხედა. ჩვენი მზერა წამით გადაიკვეთა. მაშინვე მიხურა კარი. ჩემზე დარდობდა. მაინც დარდობდა... მერე, თითქოს უფრო ხალხის გასაგონად და იმ წამის გასაბათილებლად, მისი ხმაც გავიგონე: „შედით და გამოაბრძანეთ! იქნებ მკვდარს მაინც მოუხადოს ბოდბი და პატიება სთხოვოს!“. დეიდაჩემი შემოვიდა, უნდოდა, წამოდგომაში მომხმარებოდა, მაგრამ ხელი გავაშვებინე და თავად წამოვდექი, ახლა მეორე „სირცხვილის დერეფანში“ გავიარე და დიდ ოთახში შევედი. ცენტრში, ხალიჩაშემოხვეულ ტახტზე ესვენა ჩემი და.

ყოველ ზამთარს, თოვლი მოვიდოდა თუ არა, ეს ხალიჩა დედაჩემს გარეთ გაჰქონდა და მე და ჩემი დაც ვეხმარებოდით, რადგან ძალიან მძიმე იყო და მარტო ვერ ერეოდა. მერე თოვლზე გავშლიდით და ზედ ვბტუნაობდით, მერე მეორე მხარეს ვატრიალებდით და ისევ ვბტუნაობდით, შემდეგ კი ისევ ერთად შეგვექონდა სახლში. ასე იყო ყოველ ზამთარს. არ მიყვარდა ეს პროცესი, რადგან იმ ადგილას დატკეპნილი, ჭუჭყიანი თოვლი რჩებოდა. ნუთუ საგანგებოდ ჩამოიტანეს აქ ეს ხალიჩა?!.. აი, საყვავილეებიც ვიცანი, ჩვენს სახლში პიანინოს თავზე რომ ეწყო... ვის გაახსენდა?! ნეტა, ვის ჰქონდა ამის თავი?!.. თუმცა რა გასაკვირია, მე რა, ცოტა ხნის წინ ბაზრობაზე არ დავდიოდი და შავ კაბას არ ვარჩევდი?!.. ხო ვარჩევდი?!.. პირველივე არ მიყიდა... გასახდელშიც დავტრიალდი სარკის წინ...

ოთახი მოვათვალიერე, მივხვდი, რომ იქაურობა ჩემს სოფლელ მეზობლებს მოეწყოთ. ალბათ, რამდენს ვიცინებდით მე და ჩემი და, ასე გაფორმებულ ოთახში დასვენებული მიცვალებული რომ გვენა-

ხა. არ ვიცი, დამთხვევა იყო თუ ჩემს დანახვაზე პროტესტის ნიშნად ყველამ დატოვა იქაურობა – უცებ წამოიშალნენ და ოთახიდან გავიდნენ. სრულიად მარტო აღმოვჩნდი ჩემს დასთან. ზენრიდან ოდნავ მოუჩანდა ლამაზი ქერა თმა. ვიჯექი ჩუმად და ისევ არაფერს ვგრძნობდი.

მიცვალებულთან ასე ახლოს მეორედ ვიყავი. მანამდე ჩემი კლასელი ბიჭი მოკლეს, ერთ მერხზე ვისხედით სკოლაში. მე და ჩემი კლასელები სამძიმარზე წრეს რომ ვარტყამდით, დედამისმა უცებ, ხელის ერთი მოძრაობით გვერდით მომისვა. იმ ბიჭსაც სახეზე ჰქონდა გადაფარებული და ზენრიდან მასაც მოუჩანდა მოკლედ გაკრეჭილი თმა. მაშინაც ზუსტად ასე გავიგონე ყურებში გუგუნის, მერე წუილი და მერე მაშინაც გაიბლანტა ყველაფერი და დაბნელდა, მაგრამ ისე ჩამყვინდა ყურთან დედამისმა, ჩქარა გაიყვანეთო, რომ უცებ დავუბრუნდი რეალობას. ახლა ვიჯექი ჩემი დის კუბოსთან მარტო და ხელებით სკამის საზურგეს ვებლაუჭებოდი. არ ვიცი, რამდენ ხანს ვიყავი ასე, წამოვინიე და საჩვენებელი თითი დავადე ზენარს. რალაც მაგარი დამხვდა და საბოლოოდ გავუფუცხოვდი ამ ყველაფერს. კარი გაიღო და დედაჩემი შემოვარდა, ფეხზე წამოვდექი, შემომეხვია, მთელი ძალით მიჭერდა ხელებს.

– ჩემო საცოდავო, ჩემო საბრალო გოგო, რა დააშავე ასეთი?! რა დააშავე?! ან მე რა დავაშავე... ან უბედურმა მამაშენმა?!.. ან ამან...

ხმას არ ვიღებდი. ისევ გამომიგნული ვიდექი და ისევ სულ ერთი იყო ჩემთვის ყველაფერი. მერე ისევ გუგუნის, ისევ წუილი, ისევ გადღაბნილი სახეები...

ის დღე ფრაგმენტებად მახსოვს. როცა თვალი გავახილე, იქაური გოგოები ისხდნენ ჩემს სასთუმალთან.

– კაი ხო, შენც რა მოგივიდა? ეგრე ეწერა ეტყობა მაგ უბედურსა, – მისაყვედურა ერთმა ისეთი ტონით, თითქოს მთელი ცხოვრება ერთად გვექონოდა გატარებული.

არაფერი ვუპასუხე. გარშემო წრიალზე ვიგრძენი, რომ ჩემს დას მალე გაასვენებდნენ. ის ვითომ ჩემი ახლობელი უფრო ახლოს მო-



მიჩონდა და დაწვრილებით დამინყო ყველაფრის მოყოლა – როგორ ეკიდა ჩემი და თოკზე, როგორ გადაჭრა დედაჩემმა ის თოკი ცულის ერთი მოქნევით, როგორ ცდილობდა მამაჩემი პირში სულის ჩაბერვით ჩემი დის ამქვეყნად მობრუნებას, სანამ მეზობლის ქალმა ძალით არ გამოათრია ყვირილით: „მკვდარია! პირი ღია დარჩება!!! თავი დაანებე!!!“... – მერე სხვებიც აყენენ, განსაკუთრებული მონდომებით კი იმას მიყვებოდნენ, როგორ ჰქონდა პირიდან ენა მთელ სიგრძეზე გადმოგდებული და თვალები გადმოკარკლული, როცა თოკზე ეკიდა, თუმცა ამას არც ერთი მათგანი არ შესწრებია.

– ალბათ სიმწრისაგან, – ჩაილაპარაკა დაბალმა გოგომ. – ხო!!! აბა წარმოიდგინე, ერთი წუთით რო სუნთქვა შეიკავო, როგორი ძნელია, და მა რა მოუვიდოდა?!

ოთახში დეიდაჩემი შემოვიდა და ხელით უცერემონიოდ გასწია გოგოები.

– ადექი, მივდივართ!

ავდექი. ხალხი ფეხით მიუყვებოდა პროცესიას. მე მანქანაში ვიჯექი. ალბათ, დეიდაჩემმა გადაწყვიტა ასე, რომ ჩემი ისევ გონების დაკარგვით ძირითადი მოვლენიდან არ გამამეტანა ხალხის ყურადღება. მანქანას დაბურული მინები ჰქონდა. მამაჩემს გვერდით ჩავუარეთ, ის ვერ მხედავდა და თამამად ვათვალიერებდი მის ძლიერ მხრებს. გამახსენდა, ზღვაზე ხან მე და ხან ჩემი და როგორ ვყავდით კისერზე ხელებშემოხვეული და ასე მიცურავდა სიღრმისაკენ. მაშინ ჯერ არ ვიცოდი, რა იყო შიში, ფეხქვეშ მინის გამოცლა და, რაც მთავარია, სისასტიკე, რომელსაც ადამიანები ხშირად სხვების დასანახად უფრო სჩადიან. მამაჩემიც ამ სისასტიკის მსხვერპლი იყო, რადგან კარგად ვხედავდი, როგორ მეძებდა მალულად ხალხში მაშინ, როცა წინ მის მეორე უსაყვარლეს ქალიშვილს მიახვენებდნენ. მეძებდა და სხვებისგან მალულად ჩემზე დარდობდა. მე დაბურული მინების იქით ამას ვხედავდი და არც კი ვიცი, მიხაროდა თუ ესეც სულ ერთი იყო ჩემთვის.

სასაფლაოსთან მანქანაში დავრჩი. ხმა არ მესმოდა, შორიდან ვხედავდი დედაჩემს, რომელსაც პირი ბოლომდე ჰქონდა დაღებული,

თავი მაღლა აწეული და ორი ქალი ძლივს აკავებდა. ვხედავდი მამა-ჩემსაც, რომელიც მარტო იდგა გაუნძრევლად, ძეგლივით, და ვერა-ვინ ბედავდა მასთან ახლოს მისვლას. მე ისევ მანქანაში ვიჯექი და რომელიღაც არარსებული მელოდიის რიტმში ვაკაკუნებდი თითებს.

\*\*\*

როცა ხალხი სასაფლაოდან უკან დაიძრა, ყველასგან შეუმჩნევ-ლად გადმოვედი მანქანიდან და ახლად მიწამიყრილ საფლავთან მი-ვედი. ისევ არანაირი შეგრძნება... მხოლოდ ერთი სურვილი მქონდა ახლა – მთელი ძალით მეჯანჯლარებინა ჩემი და და მეძახა: „ეს რა-ტომ გააკეთე?! ეს რატომ გააკეთე?! ეს რატომ გააკეთე?! რატომ?! რატომ?! რატომ არ დამელოდეეე!!!!!!“. ამას შინაგანად ვყვიროდი, უცხო თვალისთვის კი ისე დავყურებდი საფლავს, ვითომც არაფერი. მარტო ვიყავი იქაც და მთელ სამყაროშიც. უცებ მუცელში რაღაც ცეცხლივით დამიტრიალდა და თავის გვერდზე განევა ძლივს მოვას-ნარი. მუხლებზე დავიჩოქე და ვარწყევდი, ვარწყევდი, ვარწყევდი, სანამ მთლიანად არ ამოვიღე ყველაფერი და არ გავთავისუფლდი.

\*\*\*

სასაფლაოდან გზას ფეხით დაუყევი. ტრასამდე სამი-ოთხი კილომეტრი მაინც იქნებოდა. არავინ შემხვედრია – ალბათ, მთელი სოფელი ქეღებში იყო. არ ვიცი, რამდენ ხანს ვიარე, უკვე ბინდდე-ბოდა, როცა პატარა ავტობუსმა ჩამიარა, გამცდა თუ არა, იქვე დაამუხრუჭა და უკან-უკან წამოვიდა. მიმოვიხედე, ჩემ გარდა არა-ვინ იყო. კარი გაიღო, იქიდან მამაჩემის სოხუმელი ნათესავი დიტო ჩამოხტა და ჩემკენ წამოვიდა.

– ანა, რატომ ხარ აქ? გეძებდნენ! წამოდი, წამოდი ჩვენთან, – მითხრა და მონინებით გულში ჩამიკრა. ფეხები ამიკანკალდა, ალბათ, მეტ სიარულს ვეღარც შევძლებდი. დიტოს ლასლასით გავ-ყევი და ავტობუსში ავედი. თითქმის ყველას ეძინა. მზისგან გათან-

გულებს, როგორც ჩანს, ქელეხშიც გადაეკრათ და ახლა არც ავტობუსის გაჩერება გაუგიათ და არც ჩემი ასვლა. დიტოს დედასაც, სიდონიას, სკამზე თავგადაგდებულს პირლიას ეძინა.

სიდონია მამაჩემის ბიძაშვილი იყო და მამიდად მეკუთვნოდა. ეს შავებში ჩაცმული, სახედალარული მოხუცი პირველად ბავშვობაში ვნახე, კელასურში, სოხუმთან ახლოს. იმ წელს მამაჩემმა გადაწყვიტა, უკვე დიდები ხართ და ნათესავები უნდა გაგაცნოთო. ოთხივე ერთად გავემგზავრეთ მატარებლით. მანამდე არც მატარებლით მემგზავრა და ზღვაზეც პირველად მივიდიოდი. ის ზაფხული მთელი ცხოვრება ლამაზი ზღაპარივით ჩამრჩა მეხსიერებაში. მაშინ 10-11 წლის თუ ვიქნებოდი. სიდონია მამაჩემზე გაცილებით უფროსი იყო. მამა ამბობდა, მაგის გაზრდილი ვარ, ბავშვობაში სულ თან დამატრევედაო. მერე სიდონია კელასურში გათხოვდა, მამაჩემი კი თბილისში წამოვიდა სასწავლებლად და ასე გადიოდა წლები ერთმანეთის მონატრებაში.

სიდონია ჭიშკარში შემოგვეგება. ახლაც თვალწინ მიდგას – კოპლებიანი კაბით, ხორბლისფერი კანით, უკან გადაწეული სქელი შავი თმით, მწვანე თვალებით და თეთრი კბილებით. როცა იცინოდა, ნამდვილ კინოვარსკვალავს ჰგავდა. ისიც ფილმის კადრივით მახსოვს, რომ დაგვინახა და ჩვენკენ რომ გამოიქცა. ჯერ მამაჩემი ჩაიკრა მაგრად გულში, მერე დედაჩემს და ხელში ატატებულ დარიას მიესიყვარულა და მე ბოლოსკენ მომიტოვა.

– დედა, მართლა მგავს მგონია, კი მეუბნებოდი შენ, მარა?! დედა, სკან გოლუაფირო, ანა, ძღაბი! არა, ეს ჩემზე ბევრად ლამაზია! სკან გოლუაფირო, სკან გოლუაფირო!

მიხუტებდა და ჩემთვის გაუგებარ ენაზე მესიყვარულებოდა. არ მესმოდა, რას ამბობდა, მაგრამ რალაც ძალიან თბილი და მშობლიური იყო მის სიტყვებში, ისეთი, რომ მთელ ტანში მეღვრებოდა და მათბობდა.

ასეთ დიდ სახლში პირველად აღმოვჩნდი. შენობას წინა მხრიდან თეთრი კოლონებიანი ფასადი ჰქონდა, გვერდიდან კი მრგვალი კიბე ადიოდა ზედა სართულზე.

გველოდებოდნენ. სუფრა გამოილილი დაგვახვედრეს. ცოტა ხანში გავშინაურდი და კიბეებზე ზემოთ-ქვემოთ დავინყე სირბილი. მეორე სართულიდან სახლის უკანა მხარეს გადავიხედე. ციტრუსის პლანტაციამში ჭრელა-ჭრულა ჩითის კაბებში ჩაცმული ოცდაათამდე ქალი დაფუსფუსებდა. მოგვინებით გავიგე, რომ ეს ქალები ყოველწელს ჩამოჰყავდათ რუსეთიდან. თან პლანტაციამში მუშაობდნენ, თან ზღვაზეც ასწრებდნენ დასვენებას, ბოლოს კი მანდარინით სავსე ყუთებით ბრუნდებოდნენ შინ. ზოგს ძალიან უმართლებდა, ადგილობრივ ბიჭებზე თხოვდებოდნენ და სამუდამოდ რჩებოდნენ აფხაზეთში. ჩემს მამიდაშვილ დიტოსაც შეჰყვარებოდა ციმბირიდან დედასთან ერთად ჩამოსული ოლგა, და იმ საღამოს სუფრასთან ეს დიდი განსჯის საგანი გახდა – დაეტოვებინათ თუ დედასთან ერთად გაებრუნებინათ უკან, ციმბირში, მისი შეყვარებული...

სიდონიას ქმარი გარდაცვლილი ჰყავდა და ერთადერთ ვაჟზე მართალა მზე და მთვარე ამოსდიოდა. არც ოჯახის უღლის დასადგმელად ემეტებოდა ჯერ, მაგრამ დიტოს თავისთვის უკვე ყველაფერი გადანყვეტილი ჰქონდა და, როგორც აღმოჩნდა, ახლა მამაჩემისნაირი მხარდამჭერი სულზე მისწრება იყო მისთვის.

ჩვენმა სტუმრობამ ისე გააბედნიერა სიდონია, რომ მამაჩემს თხოვნაზე უარი ვერ უთხრა და ცოტა ხანში სუფრასთან ოლგა შემოგვიერთდა, დედამისთან ერთად. არც მანამდე და არც მერე აღარ მინახავს ასეთი ლამაზი და ბედნიერი წყვილი. ოლგა – ქერა, ცისფერთვალება, ზღაპრის გმირივით გრძელი ოქროსფერი დალალებით, დიტო კი დედასავით შავგვრემანი და ღიმილის დროს მასაც სიდონიასავით უელავდა თეთრი კბილები.

იმ საღამოს ოლგა და დიტო ერთად ადღეგრძელეს და ოლგა ციმბირში კი არა, იმ შენობაშიც აღარ დაბრუნებულა, პლანტაციის ბოლოში საგანგებოდ რომ ჰქონდათ აშენებული რუსეთიდან ჩამოსული მუშახელისთვის.

მამაჩემი, ეტყობა, მგზავრობამაც დალა და მალე დათვრა. მის სიმთვრალეს იმიტაც ვცნობდი, რომ ასჯერ უფრო ალერსიანი ხდებოდა. მიმიხუტებდა ცალი ხელით და მეორით ჩემი ყურის